

საბჭოო ადამიანი

საბჭოო კომიტეტი

ს. ს. ს. რ.
იუსტიციაზრი
ორგანიზაციი
ოფიციალი

№ 16

5 აგვისტი
1928

→ გინერაცია ←

- კ. ლოლობელი.—გირავნობის უფლების განხორციელება
ნების ჩამორთმევის შემთხვევაში.
- ქ. მიქელაძე.—მეზობლური ურთიერთობის მოწესრიგების
ფუძვლები საბჭოთა სამართლით.
- კ. პლეტნიკოვი.—სამოქ. კოდ. 406 მუხ. რსფსრ და უსსრ
ენაქს სასამართლოთა და საბჭოთა იურ
ტების განვარტებით.
- კ. დანელია.—ქორწინება საოჯახო სამართლის კოდე
პროექტში.
- გ. მირიანაშვილი.—ქორწინების შეკვრის წესები.
- მ. მაჭაგარიანი.—პროსტიტუცია, როგორც დანაშაული.
- ვ. კერესელიძე.—სისხლის სამართლის 158 და 174 მუხლ
შესახებ.

პრაზრიკოსის შეიცვები

- ვ. გერაძე.—ოჯახის წევრის მდგომარეობა ბინის ქი
ნობის საკითხში.
- დ. ხიხაძე.—რას გვეუბნება პრაქტიკა?
- ი. კაციონაძე.—პირობითი სასჯელის შეფარდების შეს
თარიღის გასალისათვის
- კ. ქაგთარაძე.—მასალა და შენიშვნები.

ფოსტა

კანონების გამოხილვა
ეფუძნების ნაწილი

სამართლის სამინისტრო

№ 16

15 მაის 1928 წ.

№ 16

გირჩვნობის უფლების განცენიზიერება კონაგის ჩამორთხვის შემთხვევაში

შრავალი მაგალითა იმის, რომ სასამართლო ადასტურებს თავისი დადგენილებებით შენობების უთადარი- გოდ შენახვის ფაქტს. სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართ- ველოს სახეომსაბჭოს ა.წ. აძრილის 26 თარილის და 27 ნომრის დადგენილების ძალით ასეთი შენობები უნდა გადავიდენ აღმასკომის გამგებლობაში. შენობების უთა- დარიგოდ შენახვის ფაქტის დადასტურებისა და მათი ჩამორთმევის მხრივ საკითხი ნარტივია, ხოლო შეიძლება სა- დავოდ გახდეს ის საკითხი, იმ შენობის ჩამორთმევის შემდეგ, რაც დაგირავებული იყო კერძო პირთან ან ბანქში, შე- საძლებელია თუ არა, რომ გირაო ასეთ ქონებაზე ძალა- ში დარჩეს. ც. ა. კ.-ის ხსნებული დადგენილება ამის შე- სახებ არაფერს ლაპარაკობს. ამ საჯანმდებლო აქტის განხილვა უიმისით, რომ არ გვქონდეს სახეში მისი ის პრინციპი, რომელსაც ის ემყარება, ზოგი შეიძლება იმ დასკენმდე მიიყვანოს, რომ თქვას—კანონის ასეთი დუ- მილი კანონისავე ნაკლიათ, თითქოს ამ საკითხზე უნდა ყოფილიყო რამე დადგენილება. მაგრამ თუ ამ საკითხს მიუდგებით იურიდიული თვალსაზრისით და უკუვავდებო ყველა იმ მოსაზრებას, რომელსაც საკითხის სათანადო გადაწყვეტისათვის არავითარი იურიდიული მნიშვნელო- ბა არა აქვს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კანონმდებელის ეს დუმილი საფუძველს არ არის მოკლებული.

ხსნებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია მე- ბატრონეთაგან შენობების უსასყიდლოდ ჩამორთმევა. ამას უნდა დაუკავშიროთ ის გარემოება, რომ კანონმდებელის მიერ შენობების უსასყიდლოდ ჩამორთმევისათვის მიჩნეუ- ლი საფუძველი არის მათი უთადარიგოდ შენახვა. ეს ორი დებულება ერთმანეთს უნდა დავუკავშიროთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ იმის გაგებას, რომ ხსნებული დადგენილებით განსაზღვრული შემთხვევისათვის შეფარდებულია ის პრინ- ციპი, რომლის ზოგად ფორმულას გვთულოთ სამოქ. სამ. კოდექსის პირველი მუხლის დადგენილებაში. ამ მუხლის დადგენილება კი ისაა, რომ სამოქალაქო უფლება დადგენილების უფლება დარჩება უფლების სახით. გარდა იმისა, რომ ბრუნვიდან გამორიცხულ ნივთისადმი ვერ მოწესრიგდება იმ ნორმებით, რომლე- ბიც აწესრიგებენ ბრუნვის ნივთებისადმი მიმართებას.

ამრიგად შენობის იძულებითი წესით ჩამორთმევას აქვს ადგილი სამოქ. სამ. კოდექსის პირველი მუხლის სა- ფუძველზე. ეს კი იმის ამტკიცებს, რომ უზენაესი ორგა- ნო სცნობს, რომ ამ ქონებისადმი კერძო საკუთრებრივი მიმართება მისი პატრონისა ვერ ამართლებს მასზე სა- ხელმწიფოს მიერ ცნობილ უფლებას. ამ დებულებასთან დაკავშირებით ძნელი გადასაწყვეტი არ არის ის საკი- თხი, შეიძლება თუ არა ასეთ ქონებაზე დარჩეს ცივილის- ტური უფლება გირავნობის უფლების სახით. გარდა იმისა, რომ ბრუნვიდან გამორიცხულ ნივთიზე არ შეიძლება და- წესრიგებულ იქნეს ან არსებობდეს ისეთი უფლება, რომე- ლიც გულისხმობს, რომ მისი ობიექტი ბრუნვის საგანია, უნდა ვალიაროთ, რომ უფლება, რომლის არსებობა და მოქმედება დამოკიდებულია სხვის კერძო საკუთრებაზე, ვერ იარსებებს, თუ კი ეს საკუთრება, როგორც ასეთი არ არსებობს. მუნიციპალიტეტის წესით ქონების ჩამორ- თმევა გირავნისათვის იწყებს ისეთივე შედეგს, როგორც ის შემთხვევა, როცა გირაოს საგანი ისპიბა. თუ სინამ- დებილები არ არსებობს ის საგანი, რომელიც გირაოზე აღმოცენებული პრეტენზის დაკმაყოფილების რეალურ გარანტიას წარმოადგენს, არც გირავნობის უფლება იარ- სებებს და იმოქმედებს.

რედაქტორის და კაცორის

მისამართი:

ფილისი, ტრიალის

ქ. № 32

ტელ. № 10—51

საღისმოზერის უკავი:

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

1 ნომერი 50 კ.

ეჭვს გარეშეა, რომ გირავნობის უფლება, როგორც უფლება, მესაკუთრის განკარგულების უფლების შემზღვდავი და იმავე დროს კრედიტორის პრეტენზიის უზრუნველყოფელი, ეს დარჩება ძალაში სახელმწიფოს მიმართ, ვინაიდან ეს ქონება, როგორც მუნიციპალიტაცია ქმნილი, მაშასადამე ბრუნვიდან გამორიცხული, და სახელმწიფოს საკუთრებაში გადარიცხული, გადადის სახელმწიფოს აღგილობრივ ორგანოს გამგებლობაში იმ საჯუმეველით, რომ ის მის მიერ უნდა იყოს გამოყენებული თანახმად მისი დანიშნულებისა. ასეთ პირობაში რომ დაუშვათ შესაძლებლობა გირავნობის უფლებების ამ ქონებაზე შენარჩუნებისა, შეიქნება სამართლის პრინციპებთან შეუსაბამი მდგომარეობა, რომ სახელმწიფოს უზენაეს ორგანომ მეპატრონისაგან ქონების ჩამორთმევით გააუქმა მასზე კერძო საკუთრება, ხოლო მის მიმართ დატოვა ძალაში ისეთი უფლება, რომლის არსებობა ჩამორთმევას ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს, ისეთი უფლება, რომლის ერთი მნიშვნელობა იმაშია, რომ შეზღუდოს ქონების მესაკუთრის უფლება განკარგულების სფეროში, მეორე მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს გადახდევინების მიქცევა შეეძლოს დაგირავებულ ქონებაზე გადაუხდელი ვალის ასანაზღაურებლად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოთ, რომ ც. ა. კ-ისა და სახელმძღვანელოს 1927 წლის 10 ნოემბრის დადგენილება სამოქ. სამ. კოდ. 69 მუხ. შენიშვნის დანართის ახალი მუხლით დამატების შესახებ დაუშვა ერთი დებულება, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს აბათილებს ზემოდ აღნიშნულ შეხედულების საფუძვლიანობას. ამ დამატების ძალით მუნიციპალიტაცია ქმნილ შენობაზე შენობის გირავნობა ძალაში ჩატება, უკეთუ ეს ქონება ჩამორთმევამდე იყო დაგირავებული ტფილისის კომუნალურ ბანქში. აზრი ამ დადგენილებისა სრულებით არ მდგომარეობს იმაში, რასაც შემდეგი დებულების სიტყვა-სიტყვით გაეგება გამოხატავს: „გირაო ძალაში ჩატება“. აქ ის აზრია ჩაქსოვილი, რომ პრეტენზია ბანქისა, გირაოზე აღმოცენებული, უნდა იქნეს დაკავილებული იმ ორგანოს მიერ, რომლის გამგებლობაში ეს ქონება გადადის. სხვაფრივ ამის გაგება შეუძლებელია, რადგან სიტყვა-სიტყვით გაეგება დამატების რედაქციისა იმ დასკვნამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ კომუნალურ ბანქს დაეტოვა უფლება პრეტენზიის დაკავილებისა ამ ქონებაზე გადახდევინების მიქცევით, უკეთუ ვალი არ იქნება გასტუმრებული აღმასკომის მიერ. პირველ ყოვლისა გირავნობის ხელშეკრულებაში აღმასკომი მხარედ არ ყოფილა, აღმასკომს შენობა არ დაუგირავებია; შემდეგ ამისა აღმასკომი სრულებით არ არის ქონების დამგირავებელის უფლებათა მონაცემელი. ასე რომ ად მხრითაც არ უნდა მიუდგეთ აღმასკომის დამოკიდებულებას ამ ქონებასთან და კომუნალურ ბანქზე განმტკიცებულ უფლებას, ჩვენ ვერ აღმოვაჩინთ გირავნობის უფლების მოქმედების კვალს. საწინააღმდეგო აზრის გამოტანა და დამატების რედაქციის სიტყვა-სიტყვით განმარტება, იქნებოდა იმის ცნობა, რომ კომუნალური ბანქის პრეტენზია არის ისეთი ძალისა და მნიშვნელობის, თითქოს მას შეეძლოს ბრუნვიდან გამორიცხული ნივთი დააბრუნოს ბრუნვაში და ამით ამ ნივთს შეუცვალოს იურიდიული ბუნება იმ დროს, როცა ასეთი აქტის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ

ორგანოს, რომლის დადგენილებითაც მას შეცვალა იურიდიული ბუნება. ვიმეორებო, აზრი ხსენებული დამატებისა ისაა, რომ კომუნალურ ბანქს ჰქონდეს შესაძლებლობა პრეტენზიის დაკავილებისა იმ შემოსავლიდან, რომელსაც მისცემს აღმასკომს ქონების ექსპლოატაცია. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გვთქვთ, რომ კომუნალურ ბანქის უფლებას არა აქვთ ბუნებრივი კავშირი გირავნობასთან და ამ უფლების განმტკიცება ხსენებულ ბანქზე იმით არის გამოწვეული, რომ ის ქონების ჩამორთმევით არ იქნეს ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომ მოქლებულ იქნეს შესაძლებლობას გაინაღდოს ქონების გირაოს ქვეშ გაცემული სესხი.

გირაოს საკითხთან უშუალოდ არის დაკავშირებული ის საკითხი, ვიზე უნდა იქნეს მიმართული გირაოზე აღმოცენებული მოთხოვნა. ეს მოთხოვნა, როგორც ზევით მოყვანილ მოსაზრებებიდან ჩანს, არ შეიძლება მიმართული იქნეს სახელმწიფოსადმი. მეპატრონესაგან ქონების ჩამორთმევა რომ იყოს სისყიდლის მიცემით, მაშინ გირაოთ უზრუნველყოფილი პრეტენზიის დაკავილებისა საკითხი ადგილად გადაწყდება. ასეთი პრეტენზია შეიძლება დაკავილებულ იქნეს იმ თანხიდან, რასაც სახელმწიფო ყოფილ მეპატრონეს მისცემს. მაგრამ პრეტენზიის დაკავილების აღნიშნული გზა არ არსებობს, როცა ქონების უსასყიდლო ჩამორთმევას აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში იმგვარივე მდგომარეობასთან გვექნება საქმე, როგორც მაშინ, როცა ქონება, რომლის გირაოთ უზრუნველყოფილია კრედიტორის პრეტენზია, მოსპობილია ორივე შემთხვევაში. კრედიტორი არ არის მოქლებული შესაძლებლობას მიღლოს დაკავილების მოგალის სხვა ქონებიდან.

კ. ლოლობელი.

მეზოგბლური ურთიერთობის მოვასიგების საცუდვლების საბჭოთა სამართლით*

იმ საკითხის გასაშუქრებლად, შესაძლებელია თუ არა დაწესებულ იქნეს სერვიტუტი ისეთ მატულზე, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, უნდა შევეხოთ ზოგადად ასეთი მამულისადმი მიმართების საფუძველს ბურუჟაზიული სამართლის თვალსაზრისით. პირველ ყოვლისა უყრადღება უნდა შევაჩეროთ ეგრედ წოდებულ საჯარო ნივთებზე, ე. ი. იმ ნივთებზე, რომლებსაც აქვთ საჯარო დანიშნულება, დანიშნულება ემსახუროს ყველას.

საჯარო ნივთების სარგებლობა, საზოგადოდ, უნდა იყოს საყოველთათ; ეს კი გულისხმობს, რომ თვითეულის სარგებლობა უნდა იყოს შევებული სხვის სარგებლობასთან და მასთან ეს ხელს არ უშლიდეს სახელმწიფოს მიზნების განხორციელებას; სანამ ამ ნივთებს აქვთ ასეთი დანიშნულება, მათდამი არც სახელმწიფოსა და არც მოსახლეობის მხრივ მიმართებას არ ახასიათებს ის, რაც კერძო საკუთრებისადმი მიმართების დამახასიათებელია. აქედან გასაგები უნდა იყოს ის, რომ ასეთი ნივთები ვერ იგუებენ კერძო სანივთო უფლებრივ მიმართებას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამატონებულია შეხედულება, რომელიც უარყოფს შესაძლებლობას, რომ სა

*) იხ. „საბჭოთა სამართლის“ № 13, 15.

ჯარო ნივთებზე არსებობდეს სანივთო უფლებები, რომ-
ლების ჩივში სდგანან სერვიტუტებიც. პარიზის უნივერ-
სიტეტის პროფესორი გ. ბერთელემი სწერს, რომ სა-
ჯარო ნივთებზე არ არსებობს სააღილმამულო საშსახუ-
რიო (service foncier), საჯარო ნივთები არ შეიძლება
იყოს დატვირთული განსაკუთრებული (exclusifs) უფლე-
ბებით საკუთრებისა ან ინდივიდის სასარგებლობი. *) ასე-
თივე შეხედულებას გამოთქვამენ წინა წერილში დასახე-
ლებულ ნაშრომში პროფესორები ა. კოლენი და გ. კა-
პიტანი, რომლებიც აღნიშნავნ რა ამ საკითხის შესახებ,
რომ საჯარო, ნივთები არ შეიძლება დატვირთულ იქნენ
სერვიტუტებით, განმარტავენ, რომ უძრავი ქონება, სა-
ხელმწიფოს განკარგულებაში მყოფი კერძო უფლებრივ
საფუძველზე. შეიძლება იყოს დატვირთული სერვიტუტე
ბით ისე, როგორც კერძო პირის საკუთრებათ. **) აღნიშ-
ნულ დებულებების სისწორე რომ გავსინჯოთ, უნდა გან-
ვიხილოთ, რა მასზეთ აიხსნება ის გარემოება, რომ
სერვიტუტები არ შეიძლება არსებობდეს საჯარო ნივ-
თებზე.

ჩვენ არ შეეჩერდებით იმ საჯარო ნივთებზე, რომ
ლებიც ბუნებით მიწინილი არიან ყველას სარგებლობისა-
თვის (ზღვა და მდინარეები). ჩვენი ყურადღების ცენტრს
ამ ჟამად წარმოადგენენ მეორე საპის ნივთები, (გზები,
მოედნები და სხვა), რომ ების დანიშნულება არ იძლევა
იმის შესაძლებლობას, რომ ისინი იმავე დროს იყვნენ
ცალკე პრეზიდენტის განსაკუთრებულ სარგებლობაში ან მათ-
ზე მოქმედობდენ კერძო პირის კერძო უფლებები. მაგრამ
ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს ამ ნივთე-
ბის დანიშნულების შეცვლა ისე, რომ შესაძლებელი გახდეს
მათზე სანივთო უფლებების დაწესება. დანიშნულების შე-
ცვლა ამ ნივთებისათვის ადვილათ შესაძლებელია, ბურ-
უაზიულ ქვეყნებში. თუ დღეს საჯარო ნივთი საყოველ-
თაო სარგებლობის საგანს შეადგენს, ხვალ მას შეიძლება
მიეცეს სულ სხვა დანიშნულება, ის შეიძლება გადავიდეს
სახელმწიფოს კერძო საკუთრების საგნების რიგში და კი-
დევაც გახდეს ცალკე პირის, თუ ორგანიზაციის საკუთ-
რება. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს იმ ორგანოს
აქტი, რომელსაც კანონი ასეთ კომპეტენციას ანიჭებს,
აღნიშნული ნივთების დანიშნულების ასეთი შეცვლა სავ-
სებით ეგუება ბურუაზიულ ქვეყნების სოციალურ სის-
ტემას.

ბურუუაზიულ სახელმწიფო ებში პრინციპიალურად
დასაშვებია კერძო საკუთრების რიგში მოქმედა საყოველ-
თაო სარგებლობის ნივთებისა, თუ კი მათი ბუნება და
საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პირობები
იძლევიან ამის შესაძლებლობას. ასეთი მდგომარეობა არ
არის და არც შეიძლება იყოს საბჭოთა სახელმწიფოში
სადაც საჯარო ნივთებისა და სხვა ნივთების შორის, რაც
სახელმწიფოს საკუთრებას შეაღეცნენ და ამავე დროს არ
შეიძლება გახდეს სამოქალაქო ბრუნვის საგანი, ის გან-
სხვავება არ არსებობს, რაც ბურუუაზიულ ქვეყნებში არის
განმტკიცებული. ბურუუაზიულ სახელმწიფოებში ყველა
ნივთი, რა დანიშნულებისაც უნდა იყოს იგი, გარდა, რა

*) H. Berthélemy. *Traité élémentaire de droit administratif*, 1926 §. 2289(3), ss. 489.

**) ab. 23. 706.

ქმა უნდა, იმ საჯარო ნივთებისა, რომლების სა-
ჯარო დანიშნულება განისაზღვრება მათივე ბუნე-
ბით, შეიძლება გადირიცხოს იმ ნივთების რიგში,
რომლებსაც სახელმწიფო ფლობს და იყენებს, რო-
გორც კერძო მესაკუთრე; საბჭოთა სახელმწიფოში, პირი-
ქით, თუმცა საჯარო ნივთების დანიშნულების შეცვლა
შესაძლებელია, უკვე იღნიშნული გამონაკლისით, მაგრამ
ისინი არ შეიძლება მოქცეულ იქნენ სახელმწიფოს კერძო
საკუთრების საგნების რიგში, რადგან საჯარო ნივთებზე,
რომლებიც ბურუჟაზიული სამართლის ტერმინოლოგიით
უძრავ ნივიებს შეადგენენ, კერძო საკუთრება სამუდამოდ
არის გაუქმებული. მაგრამ მიუხედავად ამისა საჯარო
ნივთებისადმი მიმართება სახელმწიფოს იქ და აქაც
ერთნაირი ბუნებისა არიან, სანამ ისინი საჯარო დანიშ-
ნულებას ემსახურებიან. მათზე არ შეიძლება გაყრცელე-
ბულ იქნენ კერძო სანივთო უფლებები, ისინი არ შეი-
ძლება გახდენ საგანი კერძო ინტერესის სასარგებლოდ და
სახეიროდ დაწესებული შეზღუდვას; მათზე მაშასადამე
არ შეიძლება დაწესებულ იქნენ ის უფლებები, რომლე-
ვიც გამოხატავენ კერძო საკუთრების უფლების შეზღუდ-
სას, რადგან შეუძლებელია ერთსა და იმავე ნივთისადმი
მხეადასხვა ბუნების მიმართებას ჰქონდეს აღგილი და ეს
სიმართებანი წესრიგდებოდნენ საქვეყნო და სამოქალაქო
ამართლის ნორმებით. იმ ნივთებზე, რაც გამორიცხუ-
ლია ბრუნვიდან და რაც შაშისადამე ამა თუ იმ სახით
ემსახურება საქვეყნო ინტერესს, არ შეიძლება დაწესდეს
ცივილისტური ინსტიტუტი. ამ აზრის სისწორე შეიძლე-
ბა გავაშუქოთ შემდეგი მაგალითით.

თვითეულია ბურუჟაზიული სახელმწიფოს სამართა-
ლი ითვალისწინებს უძრავ მამულის ჩამორთმევას კერძო
პირთაგან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროები-
სათვის, მაგ., რკინის გზათა საჭარმოსათვის ლიანდაგის
გასაყვანად. ეს მამული ჩამორთმევამდე,—რაც ხდება მისი
იძულებითი ჯასხვისების წესით,—შეიძლება დატვირთული
იყოს რეალური უფლებებით, რომელთა რიგში სდგას აგ-
რეთვე გირავნობის უფლებაც. მამულზე ასეთი უფლების
არსებობა, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუშლის იძულები-
თი წესით მისი გასხვისების გატარებას და გირავნობის
უფლება, რომელიც დაკავშირებული იყო ამ ნივთას,
როგორც კერძო ბრუნვის საგანთან, მას თან ვერ გაჰყვე-
ბა, ის მაზე ვერ დარჩება. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩამორ-
თმეული მამული გადადის საქვეყნო ნორმების მოქმედე-
ბის სფეროში, ამ მამულისადმი მიმართება წესრიგდება
საქვეყნო სამართლის ნორმებით. ასე რომ იმ საკითხს,
თუ რა ბედი უნდა ეწეოს გირაოს იმ ნივთზე, რაც გა-
სხვისებულ იქნა იძულებითი წესით, საქვეყნო სამართლებ-
რივი წესით, სწყვეტს ამ ნივთის ახალი დანიშნულება,
საქვეყნო ინტერესისათვის უშუალოდ სამსახური. საქვეყ-
ნო მიზნის გასახორციელებლად (რკინის გზის ლიანდაგის
ასაგებად, გასაყვანად) ჩამორთმეული მამული საჯარო და-
ნიშნულების ნივთების მდგომარეობას იკავებს, იმ ნივთე-
ბის მდგომარეობას, რომლებსაც აქვთ საყოველთაო სარ-
გებლობის დანიშნულება. ამ შემთხვევაში გირაოს უფლე-
ბა, როგორც ასეთი, ისპობა, მაგრამ მისი ის მნიშვნელო-
ბა, რაც გამოიხატება გირაოზე აღმოცენებული პრეტენ-
ზის უპირატესობით დაქმაყოფილებაში, ძალაში რჩება.
ეს პრეტენზია დაქმაყოფილებას პოულობს იმ თანხიდან,

რაც სახელმწიფომ უნდა მისცეს ჩამორთმეული მამულის ყოფილ მეპატრონებს. ასეთი შედეგი მოჰყვება იმ შემთხვევასაც, როცა სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული მამული გადადის არა საჯარო ნივთების რიგში, არამედ ის დაინიშნება სახელმწიფოს ისეთი სამსახურისათვის, რაც იმას უარყოფს, რომ იგი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის საგანი. სახელმწიფომ შეიძლება ჩამორთოვს კერძო მესაკუთრეს მამული იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ის სპეციალური დანიშნულებისათვის, მაგ., ჰაეროდრომის და სამშედრო ნაწილებისათვის სავარჯიშო ადგილის მოსაწყობად. აღნიშნული მდგომარეობა არის, რა თქმა უნდა, მაშინაც, როცა ქონების ჩამორთმება მეპატრონებავან ხდება სასყიდლის მოუკემლად. აქ, როგორც უკვე აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს იმას, ამ ნივთისადმი მიმართება რა ნორმებით წესრიგდება, საქვეყნო თუ სამოქალაქო სამართლის ნორმებით. იურიდიული მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, თუ ჩამორთმეულ ქონებას არ მიეცემა სპეციალური დანიშნულება, თუ მისი დაინიშნულება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ემსახუროს სახელმწიფოს ინტერესს, ხოლო არა კერძო საკუთრების საფუძველზე. ეს გარემოება, აქვს გარეშემ, შეუძლებლად ვერ გახდას ჩამორთმეული ქონების იმ სახით ექსპლოატაციას, რასაც აქვს ადგილი კერძო საკუთრების მიმართ და ეს უკანასკნელი ვერ შეუცვლის ამ ნივთს იურიდიულ ბუნებას. სხვა მდგომარეობაა, როცა სახელმწიფო ფლობს და სარგებლობს უძრავ ქონებით კერძო საკუთრების საფუძველზე, რაც გამტკიცებულია ბურეუაზიულ ქვეყნებში. ასეთი მამული აქვთ მხედველობაში ზემოდ დასახელებულ ა. კოლენსა და გ. კაპიტანს, როცა ისინი გამოთქამენ იმ აზრს, რომ სერვიტურები შეიძლება არსებობდეს კერძო უფლებრივ საფუძველზე სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ მამულზე. მართლაც ასეთი ნივთის დაინიშნულებას არ ეწინააღმდეგება, რომ ის იყოს სხვის განსაკუთრებულ უფლების საგანი, როგორიცაა სერვიტური.

ბურეუაზიულ ქვეყნებში ნორმალურ მოვლენად ითვლება, როცა სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი უძრავი ქონება გაისხვისება მიუხედავად იმისა, რა საფუძველზე ფლობს მას სახელმწიფო, კერძო საკუთრების, თუ საქვეყნო სამართლის საფუძველზე. ეს ნორმალურად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ იქ კერძო საკუთრების ბატონობაზეა აგებული სახელმწიფოს რეეიმი, რომ იქ კერძო საკუთრების რეეიმი არის საზოგადოებრივ მიმართებათა საფუძველი. უიმისონდ, რომ ეს ბატონობა არ იყოს, ბურეუაზიული სახელმწიფოს სოციალური სისტემა შეუძლებელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დამყარდება ის სისტემა სოციალური ცხოვრებისა, რომელიც უარყოფს კერძო საკუთრებას იმ ნივთებში, რომლებიც შრომის ექსპლოატაციის მთავარ საშუალებათ ითვლებიან. ასეთ ნივთების რიგში მთავარი ადგილი უკავია მიწას. ასე რომ მიწისადმი მიმართებას თუ მიუდებით ბურეუაზიული სოციალური სისტემის თვალსაზრისით, ადგილი გასაგები იქნება ის, რომ იქ მიწის ნაკვეთებისადმი მიმართება შეიძლება წესრიგდებოდეს როგორც კერძო, ისე საქვეყნო სამართლის ნორმებით და ეს იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა დანიშნულება აქვს მას მიცემული სახელმწიფოს იმ ორგანოს მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება

ასეთი დანიშნულების განსაზღვრისა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით. თვითეულ სახელმწიფოში დასაშვებია მიწისადმი ისეთი მიმართება, ისეთი ფაქტიური და იურიდიული დამკიდებულება, რაც ეგუება მის სოციალურ სისტემას. ამიტომ თუ სოციალური სისტემის თვალსაზრისით განვიხილავთ იმ ნივთებისადმი მიმართებას, რომლებსაც ბურეუაზიული სამართლის ტერმინოლოგია უწოდებს სახელს „უძრავი ნივთები“, დაგინახავთ, რომ ის, რაც შესაძლებელია სოციალურად და მაშასადამე იურიდიულადაც ბურეუაზიულ ქვეყნებში, ყოვლად შეუძლებელია საბჭოთა სახელმწიფოში, საღაც საწინააღმდევო სოციალურ სისტემაზე აგებული სამართლის სისტემა.

საბჭოთა სამართალმა არ იცის ნივთების ის დაყოფა (უძრავებ და მოძრავებ), რასაც ადგილი აქვს ბურეუაზიულ სამართლის სისტემაში. ეს იმით აიხსნება, რომ ის ნივთი—მიწა, რომელიც იძლევა იქ ასეთი დაყოფისათვის საფუძველს, გამორიცხულია სამოქალაქო ბრუნვიდან. მაწის ბრუნვიდან გამორიცხვა კი განსაზღვრავს მიწისთან დამოკიდებულების ბუნებას, რაც იძლევა საშუალებას მისი დანაწილება სულ სხვა საფუძველზე ავაგოთ, მით უფრო, რომ საბჭოთა სამართალი უკუაგდებს იმ ნივთის (მიწის, როგორც უძრავის დაყოფას) ბრუნვისა და ბრუნვიდან გამორიცხულ ნივთებზე.

საბჭოთა სახელმწიფოში მიწის დანაწილებას უდევს საფუძვლად ნაციონალიზაციის პრინციპი, რომელიც გამოხატავს არა მარტო მიწის მის დანიშნულებისამებრ გამოყენების უზენაეს უფლებას სახელმწიფოსას, არამედ მიწისადმი მიმართების მოწესრიგებას ერთიანი საადგილმამულო პოლიტიკისა და გეგმის მიხედვით. აქედან აშკარაა, რომ საჯარო ნივთების ცალკე გამოყოფას იმ ნივთების რიცხვიდან, რაც მუშაათა და გლეხთა სახელმწიფოს გნეკარგულებაშია, არ შეიძლება მიეწეროს ბურეუაზიულ სამართალში გათვალისწინებული მნიშვნელობა. რა დანიშნულებისაც უნდა იყოს მიწა საბჭოთა სახელმწიფოში, მისდამი მიმართება, ეს ხელშიაც ის უნდა იყოს, ემორჩილება იმ ურყევ, სამართალში განმტკიცებულ დებულებას, რომ მიწის უზენაესი განკარგულება სახელმწიფოს ეკუთვნის და რომ ეს განკარგულება გამოხატავს მხოლოდ მიწის მის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას. ამ პრინციპის მიხედვით არ შეიძლება ვისმეს ჰქონდეს სარგებლობაში მიწა უიმისონდ, რომ ეს სარგებლობა არ იყოს დაკანონებული სახელმწიფოს საადგილმამულო ორგანოების სათანადო აქტით. ამასთან დაკავშირებულია ის დებულება, რომ ეს ხელშიაც და რა საფუძველზედაც უნდა იყოს მიწა საბჭოთა სოციალური პოლიტიკით. საბჭოთა სამართლის სისტემის მიხედვით მიწა, როგორც ნივთი საქვეყნო დანიშნულებისა ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომ მას გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, დანაწილდება იმრიგად, რომ თვითეულ ნაწილს ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რაც შეეფერება საქვეყნო მიზანას. მიწის ერთი ნაწილი, რომელსაც საჯარო დანიშნულება აქვს, ისეთივე მნიშვნელობისა და მასთან დამოკიდებულებისა ამავრა მაგრამ ამავრა მიზანის მიზანის მიზანის მთავარ საშუალებათ ითვლებიან. ასეთ ნივთების რიგში მთავარი ადგილი უკავია მიწას. ასე რომ მიწისადმი მიმართებას თუ მიუდებით ბურეუაზიული სოციალური სისტემის მისტერიელი თვალსაზრისით, ადგილი გასაგები იქნება ის, რომ იქ მიწის ნაკვეთებისადმი მიმართება შეიძლება წესრიგდებოდეს როგორც კერძო, ისე საქვეყნო სამართლის ნორმებით და ეს იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა დანიშნულება აქვს მას მიცემული სახელმწიფოს იმ ორგანოს მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება

თებას ამ სახელმწიფოებში ასხვავებს ის, რაც შეეხება მათ გადარიცხას ამა თუ იმ ნივთების რიგში. თუ სახო- გადოებრივი ცხოვრების განვითარება და მოთხოვნილე- ბანი ბურუუაზიულ სახელმწიფოში იძლევიან იმის შესა- ძლებლობას, რომ საჯარო ნივთი გადარიცხოს იმ ნივ- თების რიგში, რასაც სახელმწიფო ფლობს და სარგებ- ლობს, როგორც კერძო მესაქოტრე, ასეთ გადარიცხვას ვერ შეხვდება დაბრკოლება მის სოციალური სისტემის შესაძლებლობას წინ ელობება ისეთი დაბრკოლება რომლის გადაღახვას თან სდევს არსებული სოციალური სისტემის საფუძვლების შეცვლა. ასე რომ ის, რაც დასა- შვებია ბურუუაზიული სოციალური სისტემის თვალსაზ- რისით, ყოვლად შეუძლებელია გაზარდეს საბჭოთა სა- ხელმწიფოში.

საბჭოთა სახელმწიფოში დაშვებულია მიწის იმ ნა- კვეთების დანიშნულების შეცვლა, რომლებიც სამსახურს უწევენ მოსახლეობას იმ სახით, რა სახითაც შესაძლებე- ლია, რომ ისინი იყვნენ საგანი ყველას სარგებლობისა, ხოლო დანიშნულების შეცვლის შესაძლებლობა დაბირო- ბებულია საქვეყნო ინტერესით, რომელიც მოითხოვს, რომ ესა თუ ის ნაკვეთი მიწისა გამოყენებულ იქნეს საწარ- მოო ძალა განვითარების მოთხოვნათა მიხედვით. თუ ამა თუ იმ ნაკვეთის გამოყენება განსაზღვრული დანიშ- ნულებისათვის ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელიც მი- ცემულ ალაგის და პირობებში იძლევა მეტს შესაძლებ- ლობას საწარმოო ძალა განვითარებისათვის, მას უნდა შეეცვალოს ხელანდელი დანიშნულება. ასე რომ თუ ად- გილობრივი პირობები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მოითხოვნ, რომ ქა- ლაქში ან სოფლად მდებარე ადგილს მიეცეს სხვა დანი- შნულება, ვიდრე მას ამჟამად აქვს, მაგ., იმის ნაცვლად, რომ ეს ადგილი ემსახუროს ყველას გზისა, თუ მოედნის სახით, ან პირიქით, იმის ნაცვლად, რომ ის ემსახურებო- დეს ცალკე პირს თუ ორგანიზაციის განსაზღვრულ მიზნების განსახორციელებლად, დანიშნულების შეცვლა უნდა გაატარ- დეს, რადგან ამ საკითხის მოწესრიგებაში გადამშვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ეხლანდელი დანი- შნულება ნივთისა ან მისი სხვა დანიშნულებისათვის გა- მოყენება უფრო შეეფერება სახელმწიფოს მიზანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ბურუუაზიულ სახელ- მწიფოში მიწის ნაკვეთების დანიშნულების შეცვლა არ ტარდება ისე ადვილად და სწრაფად, როგორც საბჭოთა სახელმწიფოში მიუხედავად იმისა, ვის ხელშიაც უნდა იყოს იგი, და აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ აქ სა- ხელმწიფო ან სახოგადო საჭიროებისათვის მიწის ნაკვე- თის იძლევებითი წესით ჩამორთმევასთან დაკავშირებუ- ლია ანაზღაურება იმ ქონებისა, რაც ამ მიწაზე, და აგ- რეთვე იმისი, რაც შრომის ნაყოფის სახით მიწაზი შენა- ტანს წარმოადგენს, ჩვენში მდგომარეობას აადგილებს ორი გარემოება. ერთი ისაა, რომ არ არსებობს მიწაზე კერძო საკუთრება; მეორე კი იმაში მდგომარეობს, რომ არ ეწევა ისეთი ანგარიში კერძო ინტერესს, რასაც ეპ- რობიულ ჭვეყნების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დი- და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საბჭოთა სახელმწიფოში კერძო ინტერესს იმდენად ეწევა ანგარიში და მასთან ის იმდენადა დაცული, რამ-

დენად მისი განხორციელება არ ეწინააღმდეგება საწარ- მოო ძალთა განვითარების პირობებს, ამ თვალსაზრისით განიხილება სახოგადოდ მიწის ნაკვეთების დანიშნულე- ბის შაცვლა. ეს თვალსაზრისი უნდა გამოვიყენოთ იმ საკითხის გადასაწყვეტადაც, რამდენად დასაშევებია, რომ საბჭოთა სახელმწიფოში მიწის ნაკვეთები გამოყენებელ იქნენ ისე, როგორც ამას გულისხმობს ბურუუაზიულ ჭვე- ყნებში განმტკიცებული ინსტიტუტი—სერვიტუტი. ეპს გარეშე, რომ საბჭოთა სახელმწიფოში არ შეიძლება ჰქონდეთ ადგილი სერვიტუტებს, რომლების არსებობა როგორც ასეთა უშუალოდ არის დაკავშირებული მიწა- ზე კერძო საკუთრებასთან, მაგრაც მიუხედავად ამისა სა- კმაო საფუძველი მაინც არის საადგილმამულო სამსახუ- რის დაწესებისათვის ერთის მამულზე მეორეს მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ. თუ ბურუუაზიულ სახელ- მწიფოში სერვიტუტების შემოლების საფუძველი' და სა- ბაბს წარმოადგენს მიწის ნაკვეთების დაჭუცმაცება და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული მცირე ნაკვეთების ბუ- ნებრივი ნაკლი, საბჭოთა სახელმწიფოში შესაძლე- ბლად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ერთის მიწის ნაკვეთი გმსახუროს მეორეს ნაკვეთის, თუ ამის სამეურნეო საჭიროება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრი- გება საბჭოთა სახელმწიფოში სწარმოებს სახელმწიფოს სათანადო ორგანოების მიერ, აქ ნაკვეთების დაჭუცმაცე- ბას მაინც აქვს ადგილი და ასეთი დაჭუცმაცება იმდენად არის, რამდენად ჩვენ გვაქვს საქმე მიწის კომლობრივ სარგებლობასთან. ერთი მამულის მეორე მამულისადმი სამსახური აუცილებელი ხდება მიწის კომლობრივი სარ- გებლობის დროს. ამ სამსახურს იწვევს მამულის დაჭუც- მაცებასთან დაკავშირებული მცირე ნაკვეთების ბუნებრი- ვი ნაკლი და ამ უკანასკნელის შევსების საჭიროება მეო- რე მიწის ნაკვეთის თვისების გამოყენებით.

(გაგრძელება იქნება)

კ. შიქელაძე.

სამოქალაქო კოდექსის 406 მუხლი საცსრ და უსსრ უზენაეს სასამართლოთა და საბჭოთა იურისტების განმარტებით *
(დასასრული)

რსფსრ-ის სამქალაქო საქასაციო კოლეგიაშ თავის განჩინებაში საქმეზე დ № 36535—1926 წ. გამოსთვევა შე- მდეგი: „ამ შემთხვევაში სახელმწიფური დაწესებულები- სადმი სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის შეფარდებას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონებოდა, რადგანაც კერძო პი- რის ჰქონებრივი მდგომარეობის დაპირისპირებუ- ლია ანაზღაურება, იმ ქონებისა, რაც ამ მიწაზე, და აგ- რეთვე იმისი, რაც შრომის ნაყოფის სახით მიწაზი შენა- ტანს წარმოადგენს, ჩვენში მდგომარეობას აადგილებს ორი გარემოება. ერთი ისაა, რომ არ არსებობს მიწაზე კერძო საკუთრება; მეორე კი იმაში მდგომარეობს, რომ არ ეწევა ისეთი ანგარიში კერძო ინტერესს, რასაც ეპ- რობიულ ჭვეყნების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დი- და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.“

*) დისკუსის წესით.

მშრომელთ სპეციალ ორგანოების მეშვეობით უზრუნველ-
ჰყოფს, მაშასადამე სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლი სა-
ხელმწიფურ დაწესებულებათა და საწარმოოათვის არ უნ-
და იქნეს ხოლმე შეფარდებული" (ნФХ3, № 23-1927 წ.,
გვ. 906). სამოქალაქო კოდექსის კომენტატორი გოიბარგი
ამტკიცებს, რომ „სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მიმართ
406 მუხლი არ უნდა იქნეს ხოლმე შეფარდებული, რაც
გამომდინარეობს კოდექსის საერთო აზრიდან. ამნაირად
დაზარალებულის საშუალებათა უკარისობა არ შეიძლება
გამოდეს საფუძვლად ხელისუფლების ორგანოთა მიერ
მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, თუ არ არის
პირობები 407 მუხლის შედაგარდებლად: წინააღმდეგი
განმარტება გამოიწვევდა სახელმწიფური ბიუჯეტის დან-
გრევას (Оңჯათელственное право, 6. 1, გვ. 93).

ფ. ვოლფსონი (Учебник гражданск. права 6. 1,
გამოც. 2, გვ. 124-125) სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხ-
ლის განმარტებაში იმ დასკვნამდე მიღის, რომ ამ მუხლ-
ში საკითხი ზიანის ანაზღაურების შესახებ კლასური პრინ-
ციპის თვალსაზრისით არის ჩამოყალიბებული:

„ჩვენი კანონი, აღვენს რა განსაზღვრულ საფუძვლებს
მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობისათვის,
იმავე ტროს ითვალისწინებს ზოგიერთ პირობას, რომე-
ლიც ამა თუ იმ პირს ან დაწესებულებას პასუხისმგებლო-
ბისაგან ათავისუფლებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც
დაზარალებულია მცირედ უზრუნველყოფილი პირი და
ზიანის მიმყენებელი კი შეძლებული პირია, სასამართლოს
შეუძლია არ მიიღოს მხედველობაში პირობები, რომელიც
პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს, და დავალოს შე-
ძლებულ პირს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის
ანაზღაურება".

საბჭოთა იურისტების შეხედულებათა შეფასებას
რომ მივმართავთ, წინასწარ უფუძლი უნდა აღვნიშოთ,
რომ საბჭოთა სამართლის ნორმების განმარტებისას ყო-
ველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ხელისუფლების
და სასამართლოს კლასური პოლიტიკა და არ შევზღუ-
დოთ საკითხი წმინდა იურიდიკული ინტერესებისათვით.
თუ კლასურ თვალსაზრისზედ ხელს ავიღებთ, მაშინ შე-
ძლება სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის მიხედვით დავა-
დგეთ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გზას იმ მოსაზრე-
ბით, რომ რაიც ამ მუხლის ტექსტში მითითებულია ამავე
კოდექსის 404 მუხლიც, უკანასკნელს კი მხედველობაზე
სახელმწიფური საწარმოება აქვს, მაშასადამე სახელმწიფოს
პასუხისმგებლობაც აშკარაა. ამ ფორმალი საფუძველთა
გარდა შეიძლება მოვიხსენიოთ სხვა წმინდა კლასური ხა-
სიათის მოსაზრებანიც. ასე, მაგალითად, სახელმწიფოს და
მუშის ინტერესების შეჯახებისას პირველი ხშირად მოწა-
დინებულია დაუთმოს მეორეს, ამის მკაფიო ილუსტრაციას
წარმოადგენს სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 266 მ. და აგ-
რეთვე სასამართლოების პრატიკა სახლაგებულობათა არა
ფორმალ გასხვისების საქმეებზედ, სადაც არსებობს მყი-
დველის შრომითი კავშირი შეძნილ ქონებასთან და სა-
დაც მყიდველის მიერ ხორციელდება მომჭირნე პატრონის
მოვალეობა, ამას შეიძლება დავუმატოთ კიდევ რსფსრ
უზენაესი სასამართლოს შეხედულება, გამოთქმული კლი-
მენტის საქმეზედ სახელმწიფო ნაოსნობასთან, სადაც უზე-
ნაესმა სასამართლომ უკუაგდო სამოქ. სამ. კოდექსის
406 მუხლის სახელმწიფურ დაწესებულებათა და საწარ-

მოთათვის შეუფარდებლობა. მაგრამ მსჯელობას აღძრულ-
საითხოს შესახებ საფუძვლი უნდა ედვას ის უდავო მო-
საზრება, რომ საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პრინ-
ციპი საერთოდ ეკონომიკურად უსუსტესი მხარის ინტერე-
სების დაცვაა. ამას რომ ამბობს, საბჭოთა ხელისუფლე-
ბის მხედველობაში აქვს ამ ინტერესების დაცვა მხოლოდ
იმ შემთხვევებში, როდესაც მათ საშიშროება მოელის ან
როდესაც ისინი დაზარალებულია ეკონომიკურად უძლიე-
რების მხარის მიერ. ამნაირად აქ ლაპარაკია კლასური ინტე-
რესების შეჯახებაზედ საბჭოთა სახელმწიფოში. უკანას-
კნელი კი, როგორც ა ეთ, როგორც პროლეტარიატის
დექტატურის ორგანო, დარაჯად უდგას პროლეტარიატის
ინტერესებს მის ბრძოლაში კლასურ მტრებთან და უკვე
მარტო ამიტომ აღარ შეიძლება ლაპარაკი სახელმწიფოს
შესახებ და მუშის ინტერესების დაპირისპირებისა და მა-
თი ქონებრივი შდგომარებობის შედარებით შეფასებისა იმ
შემთხვევებში, რომელიც მხედველობაში აქვს სამოქ. სამ.
კოდექსის 406 მუხლს. ერთის წუთით რომ ჭარმოვიდგი-
ნოთ, რომ სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლს მხედველო-
ბაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც აქვს, მაშინ კან-
ნის რედაცია „სასამართლოს შეუძლია დაავალოს ზიანის
ანაზღაურება დამზარებულის ქონებრივი მდგომარეობის მიხე-
დვით“ გაუგებარი იქნებოდა, რაღანაც. რსფსრ უზენაესი
სასამართლოს სამოქ. საკას. კოლეგიის სამართლიანი შე-
ხედულების თანამად, სახელმწიფური ლაპარანო ყოველთვის
უფრო ძლიერი იქნება ცალკეულ პიროვნებაზედ (საქმე
№ 3324-1925 წ.) ამნაირად 406 მუხლის იურიდიკულმა
განმარტებამაც უნდა მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ
სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მის მიერ გამორიცხულია
და რომ სამოქ სამ. კოდექსის 404 მუხლის მითითებულია ამ
პასუხისმგებლობას სრულიად არ პეტიონის სამოქ-
ნის უკანასკნელი უკუაგდებულია საბჭოთა სახელმწიფოს
თვით არსებითობით და იმის როლით, როგორც უსუსტესი
კლასის ინტერესების დამცველისა; სახელმწიფო კი გარ-
და ამისა უზრუნველყოფს მშრომელთ სპეციალ ორგანო-
თა მეშვეობით, როგორც ეს გამოთქმულია რსფსრ უზენა-
ესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზედ № 36536-
1926 წ., და შემდეგ პასუხს აგებს სამოქ. სამ. კოდექსის
407 მუხლის წესით.

გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით სამართლიანად
მიგვაჩნია უსსრ სასამართლოთა პრატიკის და რსფსრ
განმტკიცებულ პრაქტიკის ნიადაგზედ დაგდეთ, მივემ-
რით ამს. ამს. კომისარების, კოლეგიის, ფელონოვის და
რიგლინის აზრებს და ამს. ამს. სერელოვისა და ზალეში-
ნის მოსაზრებანი კი უკუაგდოთ. კერძოდ უკანასკნელი
იძლევა წინადადებას, რომ სარჩელი უნდა დაპარაფილე-
ბულ იქნეს მხოლოდ მოსაზრების ქონებრივი მდგომარეო-
ბის მიხედვით სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების მას-
ბის მიხედვით შეუდარებლიად, მაგრამ ეს აზრი სწორედ იმიტომ
არ არის მისაღები, რომ სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლს
ქონებრივი მდგომარეობის შედარებითი შეფასება უდევს
საფუძვლად.

უსაფუძვლოა და ცალმხრივი სევერლოვის აზრიც,
თითქოს სამოქ. სამ. კოდექსის 406 და 411 მ. მხოლოდ
კერძო პირის ქონებრივი მდგომარეობა აქვსთ მხედველო-
ბაში, როდესაც სახელმწიფოს მოპასუხება შედარებითი შეფასება უდევს
საფუძვლად.

შეცდომა ის არის, რომ საბჭოთა სამართლის ნორმების განმარტებისას ისინი იურიდიკულ ვარჯიშობათა საზღვრებში ბრუნვენ და სახელმწიფოს კლასურ არსებითობას და საბჭოთა სამართლის კლასურ მომენტს კი ივიწყებენ. 406 მუხლის კოდექსში შეტანისას კანონმდებელი ითვალისწინებდა მხოლოდ ისეთს შემთხვევას, როდესაც ერთის მხრით არ არსებობს სამოქ. სამ. კოდექსის 403, 404 და იგრეთვე 405 მუხლში აღნიშნული პირობები და მეორეს მხრით კი დაზარალებული მშრომელის მდგომარეობა ძლიერ გაუარესებულია, ხოლო დამზარალებელი შეძლებულია და სრული შესაძლებლობა აქვს ზარალის ანაზღაურებისა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ორივე მხარის ქონებრივი მდგომარეობის შედარებითი შეფასება, მაგრამ იგი აშკარად უნაყოფო იქნება, თუ მოპასუხედ სახელმწიფოს მივიჩნევთ, ვინაიდან უკანასკნელი უთუოდ და ყოველთვის პასუხისმგებელი იქნებოდა.

კ. პლეთიკოვი.

პორტივება საოჯახო სამართლის კოდექსის პროექტში *).

1

ოჯახის და საოჯახო სამართლის საფუძველია ქორწინება. ქორწინების ინსტიტუტი თავისი შედეგნილობით მრავალფეროვანია, მაგრამ შეიძლება იგი განისაზღვროს ოთხი ძირითადი ელემენტით: 1. ბუნებრივი, რომელიც ჩაქსოვილია აღამიანში და სქესთა სხვადასხვაობას ურთიერთისაკენ იჩიდავს, 2. ეთიკური, რომელიც გამოიხატება მეუღლეთა შინაგან, სულიერ მთლიანობაში, 3. ეკონომიური, რომელიც აკავშირებს მეუღლეთა ეკონომიურ ურთიერთობას და 4. იურიდიული, რომლითაც ქორწინება არის წყარო განსაზღვრულ იურიდიულ ურთიერთობისათვის.

ქორწინება იურიდიული კატეგორია. იურიდიულის თვალსაზრისით ქორწინება—უნდა განსაზღვრულ იქნეს, როგორც სამართლის მიერ ნორმირებული სქესობრივი კავშირი მოწინააღმდევე სქესთა შორის ქორწინების ოთხივე ელემენტის საფუძველზე: ამ საფუძველთა ერთეული ელემენტის ჩამოცილება არღვევს ქორწინებას, როგორც იურიდიულ ცნებას.

ქორწინების ინსტიტუტმა ბევრი ცვლილება განიცადა: ზოგი კანონმდებლობანი მას უცქერიან როგორც საიდუმლოებას (მაგ. ესპანია, ლათინური ამერიკა), ზოგიც ქორწინებაში სამოქალაქო გარიგებას ხედავს. გერმანიის კანონმდებლობით ქორწინება არის სამოქალაქო გარიგება, რომელიც ნებისყოფის თავისუფლებისაგან უნდა გამომდინარეობდეს ე. ი. თავისუფლები ნებისყოფის რეზულტატი უნდა იყოს.

საბჭოთა კანონმდებლობას ქორწინების ინსტიტუტისადმი თავისებური მიღვომა აქვს. საქართ. რევოლუციის დეკრეტი № 28 სრულებით ორაფერს ამბობს ქორწინების ცნების შესახებ, არამედ განსაზღვრავს მხოლოდ იმ წესებს, რომელიც უნდა დაცულ იქნეს ქორწინებაში შესვლის დროს. ამ წესების მიხედვით შეიძლება დავასკრათ, რომ ქორწინება დეკრეტით არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამოქალაქო გარიგება. უფრო ნათლად სჩან

ეს პროექტში, რომლის 4 გ. პირდაპირ მიუთითებს „ქორწინების სამოქალაქო გარიგების ხასიათს, ხოლო 1 გ. აღნიშვნას მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.“

ქორწინების ცნების განსაზღვრაში თავისებური აღგილი უჭირავს პროფ. ზაგოროვესკის. ქორწინებას ის განსაზღვრავს, როგორც სამართლის მიერ ნორმირებულ შეუწყვეტელ სქესობრივ კავშირს მამაკაცსა და დედაკაცს შორის. „ქორწინება მისი წარმოშობის მომენტში — ამბობს ზაგოროვესკი — ატარებს გარიგების ხასიათს, მაგრამ თავისი შინაარსით და დასასრულით სრულიად შორდება მას და დებულობს სარწმუნოებრივ ხასიათს“. (ვაგორევსკი, ცემენი ერთობენ გვ. 45).

უდავთა, რომ ქორწინება სამოქ. გარიგებაა, მაგრამ ის დასევნა, რომელიც ამ ცნებიდან გამოჰყავს პროფ. ზაგოროვესკის და პროექტის ავტორებს არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

პროფ. ზაგოროვესკი სამოქ. გარიგებას მხოლოდ ქორწინების წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ქორწინების შინაარსსა და დასასრულში კი სარწმუნოებრივ ხასიათს ხედავს. ეს შეხედულება, როგორც აღვნიშვნეთ, შემცდარია. გარიგების წარმოშობის მომენტი განსაზღვრავს გარიგების შინაარს; უფლებარივი რეზულტატი, რომელსაც ქორწინების შინაარსში გვხდავთ. არის შედეგი თავისუფალი ნებისყოფის. რა არის ეს ნებისყოფა? „გარიგებად იწოდება — ამ ბობს დერნბურგი — ნებისყოფის გამოცხადება, რომელიც მიმართულია გამომცხადებელ პირის იურიდიული ურთიერთობის მოშესრიგებისაკენ“ (Дернбург — Пандекты, т. I. გვ. 248). ქორწინების წარმოშობის მომენტში გვაქვს სწორედ ეს ნებისყოფა, რომელიც გარიგების სახით ქორწინებას განსაზღვრულ შინაარს აძლევს, რაც შეეხება ქორწინების მოსპობის თითქო სარწმუნოებრივ ხასიათს, უნდა აღინიშოს, რომ ქორწინების ფორმის სახითას, უნდა აღინიშოს, რომ ქორწინების ფორმის სახითას და კავშირებულია თვით სახელმწიფოს სტრუქტურისთვის; არც ერთი კანონმდებლობა არც ერთ იურიდიულ რაოდთან; არც ერთი კანონმდებლობა არც ერთ იურიდიულ ურთიერთობას, რაგინდ კერძო ხასიათის იყოს იგი, სრულიად თავისუფალ ნებისყოფის წყაროდ ვერ გახდის, ის განსაზღვრული ნორმებით ზღუდავს ნებისყოფის სრულ განსაზღვრული სამოქალაქოს. „ნებისყოფის გამოცხადების შედეგი — ამ ბობს დერნბურგი — რაცი ერთხელ შესრულებულია იურიდიული ურთიერთობა, მხოლოდ ნებისყოფის არ ეყრდნობა, ისინი წესრიგდებიან უფლებარივი გზით, (Пандекты т. I. გვ. 251). ასეც რომ არ იყვეს, ქორწინების მოსპობის სარწმუნოებრივი ხასიათი (სადაც ასეა — კ. დ.). სრულებით არ აქარწყლებს ქორწინებას, როგორც სამოქ. გარიგებას, რადგან თუ წარმოშობის მომენტის საფუძველი სამოქ. გარიგებაა, ცხადია, ეს გარიგება ითვალისწინებს კავშირებულ ურთიერთობას, არნავალება და დასასრულით განსაზღვრულ ურთიერთობისთვისაა დაწესებული.

პროექტიც ქორწინებაში სამოქ. გარიგებას ხედავს (მ. 4 გ. „ა“), მაგრამ 1 გ. სპეციალურად აღნიშნულია მისი სახელმწიფოებრივი ხასიათი. პროექტი ამათ გარიგების ცნების ირგვლივ ბადებს გაუგებსრიბას. იურიდიული ლიტერატურაში, ამდენად კადაც ვიცით, არსად არ არის აღნაზნული ისეთი გარიგება, რომელიც სახელმწიფოს ინტერესების გარეშე — იღებს. სახელმწიფო იმისათვის ჰემის მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის განსაზღვრულ იურიდიულ ნორმებს, რომ ერთის მხრით

*) დისკუსიის წესით.

380

საზოგადოებრივ ურთიერთობას მისცეს სახელმწიფოსათ-
ვის სასურველი გეზი და მეორეს მხრით — მტკიცედ გატა-
რდეს ნებისყოფის იურიდიული შედევრი. ამიტომ ყველა
იურიდიული აქტის სახელმწიფოებრივი ხასიათი უდა-
ვოდ ჩაქსოვილია მასში იურიდიული ნორმების თვით
სახელმწიფოს ინიციატივით შექმნის გამო. საქორწინო
გარიგებაც გამონაკლისს არ შეადგენს და ამიტომ ცნების
დამახინჯებაა და ფორმალური ნაკლიც გარიგების სახე-
ლმწიფოებრივი ხასიათის განსაზღვრულ პუნქტში ჩამო-
ყალიბდება.

მიუხედავათ ყოველიცე ამისა, უდავოა ერთი რა: ჩენ მიერ გაღმოშლილი განსაზღვრანი აღიარებენ ქორწინებას, როგორც სამოქ. გარიგებას და საქმე ის არის, რამ ამ სამოქ. გარიგებაში დაცულ უნდა იქნეს ის ოთხი ძირითადი ელემენტი, რომელიც ქორწინებას, როგორც იურიდიულ ცნებას, ახასიათებს.

2

ქორწინებაში შესვლისათვის ყოველ კანონმდებლობას სახელმძღვანელოდ მოცემული აქვს განსაზღვრული პირობები. პირობათა თავისტურებას საფუძვლიად უდევს კანონმდებლობის ზოგადი პოლიტიკა და ქორწინების ცნების თავისტური განვითარება.

დაბრკოლებანი, ორულნიც ხელს უშემიან ქორწინების წარმოშობას კველა კანონმდებლობაში შეიძლება გავყოთ ორ მთავარ ჯგუფად: აბსოლუტური და რელატიური დაბრკოლებანი იმ ფაქტორის გავლენის მიხედვით, რომელიც ქორწინების კანონიერებაზე გავლენას ახდენს.

უცხოეთის კანონმდებლობანი მტკიცედ იცავენ ამ
პირობებს. პროექტის 5 და 6 მ. მ. ითვალისწინებენ ასეთ
პირობებს, მაგრამ 8 მუხლით მათ მყარი ხასიათი არა აქვთ
სთ. პროექტით ფაქტოურ მდგომარეობას უფრო მეტი შეი-
ძლია გვიდრე იურიდიული ნორმის დარღვევას.

№ 28 დეკრეტი მოცემულია განზასლვალური პი-
რობები, რომელთა შესარულებლობა წარმოადგენს ქორ-
წინების დამაბრკოლებელ მიზეზს. დეკრეტს პირობათა
აღნუსხვით საბჭოთა კანონმდებლობაში დამსახურება
აქვს; პირველად ჩხოლოდ მან სთქვა 69 მუხლით, რომ
ქორწინებაში შესასვლელ პირობას წარმოადგენს „ქორ-
წინებაში შემსვლელის სულიერი და ფიზიკური ჯან-
მრთელობა“.

Сұрағынан тұрғынан үшіншілік атқаруға мүмкін болады. Оның көзінен өзінен тұрғынан үшіншілік атқаруға мүмкін болады.

რუსეთის კანონმდებლობა უახლოეს დროშიც ამ მხრივ არ იღვა სათანადო სიმაღლეზე. ქორწინებაში შე-სყლის დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლებოდა შეოლოდ სულიერი აგათეპოფობა და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება არ იყო სავალდებულო, 1926 წლის კანონით ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნა (Гейх-ბაր—იმა, გვ. 190).

მეორე პირობა, რომელსაც მთავარი ყურადღება
უნდა მიეპყროს, არის საქორწილო ჰასაკი, ეს საკითხი
პროექტის ავტორებმა სრულიად დამახინჯეს. პროექტით
საქორწინო ჰასაკად დედაქაცისათვის დაწესებულია 16
წელი, მამაკაცისათვის – 18 წელი (5 მ.); კიდევ მეტი, მა-
ზრის აღმასკომს შეუძლია ერთი წლით შეამციროს სა-
ქორწინო ჰასაკი (იქნება შენიშვნა). რუსეთის საოჯახო სა-
მართლის კოდექსის პროექტიც ასეთსაფე ჰასაკს იკვალის-
წინებდა. რუსეთის ცაკის სესიაზე ამ საკითხის ირგვლივ
გამართულ კამათში, ეწინააღმდეგებოდენ რა ამ პროექტს;
ყურადღებას აქცევდენ უმთავრესად იმ გარემოებას, რომ
ეკონომიკურის და კულტურულის თვალსაზრისით ქალებ-
ზედ ასეთი ნააღრევი ქორწინება უაღრესად უარყოფი-
თად იმოქმედდეს. ცაკის წევრი საპოვოების ქალი ამ-
ბობდა: „საკითხი ისმის არა მარტო მოუწიფებლობისა
თუ მოწიფეულობის შესახებ, არამედ ნააღრევი საქორწი-
ნო ჰასაკი შესაძლებლობას იძლევა უფლებრივ იძულები-
სასო“. როგორც ვხედავთ, უფლებრივი სფერო საკმიანდ
გაშუქებული არ იყო სესიის მიერ, მაგრამ მაინც რუსე-
თის კოდექსმა შეცდომს ჰასაკის საკითხში თავი დააღწია
და ორივე სქესისათვის დაწესა 18 წელი.

საქართველოს პრეზეტი ადგას შეცდარ გზას. რა-
ში მდგომარეობს შეცდომა, როგორ უნდა გაღაიჭრას ჰა-
საკის საკითხი — აი ის კათხვა, რომელიც ჩვენს წინაშე
სდგას. არ შევათასებთ პროექტის შეცდომას ეკინომიუ-
რის და კულტურულის თვალსაზრისით, ჩვენ შევცდებით,
რამდენადაც შესაძლებელი იქნება, საკითხი გავარკვით
იურიდიული თვალსაზრისით.

ქორწინების ერთერთი მიზანია დაკავშირებულ
იქნას სქესთა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი; აქედან
სამართლის მოთხოვნით გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ
ქორწინებაში შეზაღლნი სქესობრივდ ვარგისნი უნდა
იყენენ. სქესობრივი ვარგისიანობა კი შეცდომით განისა-
ზლორება არა ad hominem, არამედ საშეალო აღამიანის
მიხედვით; მაგრამ აქვე ხახვაშით უნდა აღინიშვნოს, რომ
ჰასაკი მარტო სქესობრივ მოწიფულობას არ გულის-
ხსობს; სქესობრივი უნარი დედაკაცს 12—13 წლიდან
უკვე მომწიფებული აქვს (სულით ავათმყოფებაც, რომელ
საც კანონით დაქორწინება ეკრძალება—5 დ.), მაგრამ
საქმე ის არის, რომ ჰასაკის ვანსაზღვრისას სქესობრივ
მოწიფულობასთან ერთად მხედველობაშია მიღებული იუ-
რიდიული მოწიფულობაც, პროექტის 20 მ. ამას გარეუ-
ით მიმობს.

იურიდიული მოწიფულობის ანუ ქმედობა უნარია-
ნობის საფუძველი უნდა ვეძიოთ აღამიანის ფიზიკურ შო-
მწიუპაბასა და იურიდიულ მოქმედების უნარში. „ქმედობა
უნარიანობა ამბობს მარკოვი—არის უნარი პირისა პი-
რადი მოქმედებით შეიძინოს უფლება და შეემნას ვალდე-
ბულება. ის განიხაზლვრება ისეთი ჟანგით, როდესაც
ადამიანი აღწევს ყოველმხრივ განვითარებას: სახელდ-
როდესაც სრულიად თივისუფლად შეუძლია უხელმძღ-
ვანელოს თავის მოქმედებას, იცის ეკონომიური და იუ-
რიდიული რაობა გარშემო არსებულ სინამდვილის,
იცის მნიშვნელობა მის მიერ შესრულებულ მოქმედე-
ბის და გათვალისწინებული აქვთ შედეგი, რომელიც
მისგან გამომდინარეობს“ (ხაზი ჩერნია), (Коментарий
института совет. права т. I. ст. 7 გვ. 33). სამოქალა-

ქო სამართლით ასეთი უნარიანობა ორივე სქესისათვის მყრდება 18 წლის მიღწევისას (ს. ს. კ. 7 მ.).

პროექტის აზრით ქორწინება სამოქალაქო გარიგებაა. მ. 4 ქორწინებაში შესასვლელ პირობად სცნობს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობას და საქორწინო ჰასაკის მიღწევას, რომელიც 5 მ. ქალებისათვის განსაზღვრულია 16 წლით.

სამოქ. სამართლის კოდექსის 9 მ. კი არა სრულ წლოვანის (14—18 წლიდე) გარიგებას, თუ კი ის კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადასტურებული არ არის, იურიდიული ძალა არა აქვს. კიდევ მეტი, ს. ს. კ. 31 მ. არაქმედობა უნარიანი პირის მიერ დადებულ გარიგებას ბათილად სთვლის.

თუ ქორწინება სამოქალაქო გარიგებაა, ცხადია ქორწინებაში შემსვლელის ნებისყოფას გარდამშეცვეტი მნიშვნელობა აქვს; ნებისყოფის გამოკხადებისათვის კი საჭიროა ამ ნებისყოფის იურიდიულად ცნობა ე. ი. ისეთი ნებისყოფა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია უხელმძღვანელოს თავის ქმედობას, იკოდეს შესრულებულ ქმედობის მნიშვნელობა და სს. (იხ. ზემოთ). აქვს თუ არა ყველამტერი ეს 16 წლის ქალს (?), სამოქ. კოდექსის 7 მ. არა და ს. ს. კ. 31 მ. კი მიერ დადებული გარიგება ბათილია.

მაგ სად ვეძიოთ გამოსავალი? საოჯახო ურთიერთობა არ არის რაღაც აბსტრაქტი, ის სამოქალაქო ურთიერთობის სფეროში ხორციელდება, რომელიც არსებულ კანონმდებლობისაგან მიზანშეწონილადაა ცნობილი. კანონმდებლობის ყოველი დარგა ხელმძღვანელობს იმ ზოგად პრინციპებს, რომლის საფუძველზედაც უნდა აშენდეს ამა თუ იმ ურთიერთობის გამსაზღვრელი ნორმები. სამოქალაქო ურთიერთობის გამოსახვის, კანონმდებლობის ზოგად პრინციპების კონკრეტიზაციას სამოქალაქო დარგში შეიცავს სამოქ. სამართლა; სამოქ. სამართლებები არის ის მთავარი საფუძველი, რომელიც აწერის რეგისტრის სამოქალაქო ურთიერთობას და ჩენის აზრით სრულიად გაუგებარია პროექტი რად გარდება ასეთს წინააღმდეგობრში ჰასაკის განსაზღვრისას, რადგან საოჯახო ურთიერთობა ერთერთი ნაწილია სამოქალაქო ურთიერთობისა.

საოჯახო სამართლის სფეროში უცხოეთის კანონმდებლობათა დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ გათხოვილი ქალი დაუკემდებაროს მამაკაცის —ქმრის მხრუნველობას; ზოგიერთი საოჯალაქო უფლება (მაგ. ბინდრობა და სხვ.) განისაზღვრება ქმრის უფლებებით.

საბჭოთა კანონმდებლობამ ეს უთანაშორო უფლებრივი მდგრადრეობა აღმოხევრა, მაგრამ პროექტი უთანასწორობას თვით ქალთა ერთის მხრით და კაცთა და ქალთა შორის შეორებს მხრით დიდი გასაქანი მისცა.

უცხოეთში, სადაც ქალი ყოველ შემთხვევაში მხრუნველობის ქვეშ იმყოფება, საქორწინო და სამოქალაქო ჰასაკის სხვადასხვაობა პრაქტიკულად მაინც შესაძლებელი არის, მაგრამ იქ, სადაც თანასწორობის პრინციპია აღიარებული, ჰასაკის ოლნავი სხვაობა ძირის უთხრის ამ პრინციპს. ასეთ მაგალითს გხედავთ პროექტშიდაც.

სამოქ. სამ. კოდექსის 9 მ. მიხედვით ორივე სქესის არა სრულწლოვანი (14—18 წლიდე) იშყოფებიან მხრუნველობის ქვეშ. პროექტიც კი „უკეთ არა სრულწლოვა-

ნი დაქორწინდება—მისთვის დაწესებული მზრუნველობა მოისპობა“ (მ. 20).

მზრუნველობის მოხსნა გულისხმობს ქმედობა უნარიანობის მოპოებას ე. ი. ყოველივე იმის დამოუკიდებლად შესრულებას, რაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 5 მ. იბადება კითხვა—თუ კი 15—16 წლის გათხოვილი ქალი მოწიფულია და შეუძლია ყოველგვარ მზრუნველობის გარეშე განახორციელოს თავისი უფლებები, რატომ არ შეუძლია ეს 16—17 წლის გათხოვარ ქალს, თუ კი ფაზითლოგიური აგებულება ქალების ზოგადი განვითარებით ერთი და იგვევა? ნუთუ სქესობრივი ურთიერთობა აქ არა რამე როლს ასრულებს! ვფერიობთ, რომ არა.

მეორეს მხრივ პროექტმა დაპგმ ქალს და კაცს ზორის თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო უფლებების მოპოების სფეროში. შეიძლება თუ არა აქ იმ თანასწორობის პრინციპის მონახვა, რომელზედაც საბჭოთა კანონმდებლობა უთითებს? ვთიქრობთ, რომ არა და დროია აქც რუსეთის მაგალითს მიებაძოთ.

ჩვენ არ შევტრიდებით ქორწინებაში შესასვლელ სხვა პირობათა განბილებედ, ისინა პრინციპიაღურიდ დადებითად არიან გადაჭრილნი, განსაკუთრებით მ. 6 პ. „დ“.

3.

ყოველი კანონმდებლობა ქორწინებისათვის პემნის განსაზღვრულ ფორმას. ფორმის გარდაუგალობა გამომდინარეობს თვით საოჯახო ურთიერთობის სირთულისა და იურიდიული ბუნებისაგან. საოჯახო სამართლის ინსტრუტი და კერძოდ ქორწინების ინსტრუტი რთულია; ამ სირთულეს, ურთიერთობის იურიდიულ ბუნებასთან ერთად, კერძოდ დაქორწინებულთათვის ესაჭიროება განსაზღვრული ფორმა, რადგან აუცილებელია სამოქალაქო ურთიერთობაში განსაზღვრული ფორმით მოწესრიგდეს უჯახის შედეგნილობის პირადი და ქონებრივი ურთიერთობა, როგორც შეგნით, ისე მესამე პირებთან.

სამართლის ისტორია გვიჩვენებს, რომ ქორწინების ფორმა არ არის ერთგვარი; იგივე ისტორია გვიჩვენებს, რომ ქორწინების ფორმა ყოველთვის იყო.

სახოგაოლებრივი ცხოვრების დასაბამითოვე ქორწინების ფორმა სხვადასხვა; ამას საფუძვლად უდევს ნაციონალური და კულტურული სხვაობა.

სარწმუნოების თანაბათანობითმა განვითარებამ და თითქმის მსოფლიო ხასიათმა ქორწინებას სარწმუნოებრივი ფორმა მისცა; ეკლესიის თვალსაზრისით ქორწინება საიდუმლოება იყო და იმატომ შეუძლებელი იყო მას სარწმუნოებრივი სახე არ მისცემოდა.

თანამედროვე კანონმდებლობანი თითქმის ყველგან ქორწინებას სამოქალაქო ხასიათს აკუთნებენ და ამას მიხედვით ქორწინებაც სამოქალაქო ფორმისაა.

სამოქალაქო ქორწინების წარმოშობის და განვითარებას პროექტი საგორծოებრივი საეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფლების არანორმალური ურთიერთობით ხსნის.

სახელმწიფო ხელისუფლების და ეკლესიის ურთიერთობის ისტორია გვიმტკიცებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას ძლიერ დიდი ბრძოლა დასტირდა უზირის მოსაპოვებლივ და უნდა დავეთანხმოთ პროფ. ზაგოროვანის, რომ სამოქალაქო ქორწინება განვითარდა არა ბუნებრივად, არამედ ეკლესიასთან არანორმალური

მდგომარეობის შექმნის გამო. აღამიანის გონიერივი პორიზონტი საფუძვლად უდევს საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარებას და ის ჰემანური იღები, რომელიც განვითარდა ეკლესიის რღვევის პროცესში, დაედო საომარო და სამოსალაქო ქორწინების განვითარებას.

ქორწინების ფორმის შიხედვით თანამედროვე კანონმდებლობაზე შეიძლება დავჭყოთ ორ მთავარ ჯგუფად:

1. საცელებით და 2. სამოქალაქო—ქორწინება. ზოგირთი კანონმდებლობა ღებულობს ორივე ფორმას (ფაქულტატიური ქორწინება) და ზოგი კი—საცელებით და სამოქალაქო ფორმას განსაზღვრულ პირთა მიმართ აძლევენ საგალოობოლო ან იძულებითს ხასიათს*).

№ 28 დეკემბრი ილარიონს ქორწინების სამოქ. ფორმას და მას სავალდებულო ხისიას აძლევს. სულ საწინააღმდეგო თვალსაზრისშედ სდგას საქართველოს პროექტი რაჭების საოჯახო სამართლის კოდექსთან ერთად.

პროექტში ქორწინების ფორმას ეხება 1 და 3 გ.გ.
პირველი მუხლის მთედვით ქორწინება სახელმწიფო ბრი-
ვი ძეტია, რომელიც, როვორც უაღრესად სახელმწიფო ე-
ბრივი მნიშვნელობის სამოქალაქო გარიგება, სათანადო
ორგანიზი რეგისტრირებული უნდა იქნეს. მესამე მუხლი
კი გვიჩდს უქცევს რეგისტრაციას -- იგი შესაძლებლად
სთვლის „ფაქტურულ ქორწინებას“, რომლის რეგისტრაცია
თავმოყრილ დროის თვითგანით ყოველთვის შესაძლებელია

პროექტი სქესთა თავისუფალ კავშირის გადაჭრები
ბულ გაგებაში ვერ ასცდა დუალიზმს. იგი ერთის მხრივ
(რეგისტრირებული ქორწინებისათვის) აწესებს პირობათა
მთელ რიგს ქორწინებაში შესასვლელად და მეორეს მარივ
„ფაქტური ქორწინების“ შემოღებით სპობს ამ პირობების
განხორციელების შესაძლებლობას.

იმდენად, რამდენადაც პროექტი პროგრესული შეიძლება სტაციონების სქესთა თავისუფალ კავშირად აღიარებით (მ. 4 3. „ა“ და 26 მ.), „ფაქტურული ქორწინების“ შემთხვევაში მან საცემებით დამატებინჯა სქესთა თავისუფალი კავშირის (ჩენბა).

რა საფუძველი აქვს „ფაქტიური ქორწინების“ აღიარების და შეიძლება თუ არა ის ქორწინებად ჩატარებულოთ;

